#1 ადგილი ოფიციალური დოკუმენტების გაცემის მიმართულებით

#2 ადგილი სახელმწიფო სერვისების მიწოდების ეფექტურობის მიმართულებით

მომხმარებლის **92%-ის** კმაყოფილება ოფიციალური დოკუმენტების გაცემის პროცედურების მიმართულებით

წყარო: "განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების კვლევა", EBRD, 2011

2 405 405

info@psh.gov.ge

www.psh.gov.ge

www.facebook.com/publicservicehall

ყველაფერი ერთ სივრცეში

ქორწინება

იუსტიციის სახლი

რას ნიშნავს ქორწინების რეგისტრაცია?

ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია. ქორწინების რეგისტრაცია მეუღლეებს შორის გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს.

სად წარმოებს ქორწინების რეგისტრაცია?

თქვენი სურვილის მიხედვით, ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს იუსტიციისა და ქორწინების სახლებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში ან ნებისმიერ, თქვენთვის სასურველ ადგილას.

თქვენი მოთხოვნით, ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია საზეიმო ვითარებაში ჩატარდეს.

საზეიმო ვითარებაში ქორწინების სპეციალურ სარიტუალო მომსახურებას გთავაზობთ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, მცხეთის, სიღნაღის, ახალციხის ქორწინების სახლები.

რა დოკუმენტები წარმოვადგინოთ ქორწინების რეგისტრაციისთვის?

ქორწინების რეგისტრაციისთვის წარმოადგინეთ შემდეგი დოკუმენტები:

- დასაქორწინებელ პირთა ერთობლივი წერილობითი განცხადება;
- დასაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი);
- შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (საზეიმო რიტუალით ან შენობის გარეთ ქორწინების რეგისტრაციის დროს);
- ქორწინების მოწმე პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი);
- წინა ქორწინების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი (მანამდე ქორწინებაში მყოფი პირისათვის).

ქორწინების რეგისტრაციის ადგილი	საფასური
იუსტიციის სახლებში ან სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, სპეციალური სარიტუალო მომსახურების გარეშე	უფასოდ
ქორწინების სახლში, სპეციალური სარიტუალო მომსახურებით (სამუშაო დღეებში)	90 ლარი
ქორწინების სახლში, სპეციალური სარიტუალო მომსახურებით (შაბათ-კვირა)	150 ლარი
იუსტიციისა და ქორწინების სახლებს გარეთ	170 ლარი

ქართული ბიბლიოთეკა

იუსტიციის სახლები და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები მოგემსახურებიან სამუშაო დღეებში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. დასვენების დღეებია შაბათი და კვირა.

ქორწინების სახლები მოგემსახურებათ ყოველ ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათსა და კვირას.

სიღნაღის ქორწინების სახლი სარიტუალო მომსახურეობას გთავაზობთ 24 საათის განმავლობაში.